საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქმა მონაწილეობა მიიღო წმინდა ტიხონის მართლმადიდებლური ჰუმანიტარული უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო კონფერენციაში

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 23.01.2024. 2024 წლის 22 იანვარს მოსკოვში, წმინდა ტიხონის მართლმადიდებლური ჰუმანიტარული უნივერსიტეტის XXXIII ყოველწლიური საღვთისმეტყველო კონფერენციის ფარგლებში, ПСТГУ-ს ისტორიულ-კულტურულ და საგანმანათლებლო ცენტრის შენობაში, «Соборная палата», გაიმართა **სექციის, „მისიის ისტორია და პრაქტიკა“, ხსდომა.**

სექციაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ПСТГУ-ს პროფესორი ა.ბ. ეფიმოვი, განიხილეს საკითხები დაკავშირებული ისტორიასთან, მისიონერული მოღვაწეობის ფილოსოფიურ და რელიგიურ გაგებასთან, ასევე მისიონერული პროექტების პრაქტიკულ განხორციელებასთან. კონფერენციაში ტრადიციულად მონაწილეობდნენ მეცნიერები და პრაქტიკოსი სასულიერო პირები, მართლმადიდებლური საგანმანათლებლო დაწესებულებების, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებისა და სინოდალური მისიონერული განყოფილების წარმომადგენლები. რუსი მეცნიერებისა და

ღვთისმეტყველების გარდა, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ასევე საქართველოს, ესპანეთის და იტალიის წარმომადგენლებმა.

შეხვედრის დასაწყისში სიტყვით გამოვიდა ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის მიტროპოლიტი ნიკოლოზი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა თემას „მამა სერაფიმე როუზის მისიოლოგია“.

იმავე დღეს შედგა მიტროპოლიტი ნიკოლოზის **შეხვედრა** სრეტენის სასულიერო აკადემიაში მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტებთან. მღვდელთმთავარი მათ ესაუბრა სახარებისეული მოტივების შესახებ ანდრია ტარკოვსკის შემოქმედებაში. კერძოდ, მან მაყურებლის ყურადღება გაამახვილა ფილმ „სოლარისში“ უძღები შვილის იგავის ინტერპრეტაციაზე.

შეხვედრის პროცესში მეუფე ნიკოლოზმა უპასუხა სტუდენტების შეკითხვებს, თუ როგორ შეიძლება ქადაგება ხელოვნების და, მათ შორის, კინომატოგრაფიის საშუალებით.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/91288/